სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 ივნისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/103

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ახალარჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 22 აპრილის N01-02/71 ბრძანების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი დიასამიძის მოხსენებითი ბარათისა (MES 6 26 0000512023, 30.04.2026) და ბსუ–ს საარჩევნო კომისიის 2026 წლის 30 აპრილის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს 2026 წლის არჩევნების ჩატარების შესახებ და **ცნობილი იქნეს აკადემიური საბჭოს წევრად** 2026 წლის 14 ნოემბრამდე ვადით **არჩეული** ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელ **გურამ მემარნის უფლებამოსილება**.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და მთავარ მეცნიერი თანამშრომელ გურამ მემარნეს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**